პროექტი

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**განკარგულება №**

**2020 წლის „ “ ოქტომბერი, ქალაქი ბათუმი**

**„ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის $45^3$ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით და „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების $16^3$ მუხლის პირველი პუნქტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაყვანის შეჩერების გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

**1.** „ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**2.** განემარტოთ ნებართვის მფლობელებს, რომ ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგებისათვის საჭიროა მათი, როგორც დაინტერესებული პირების, მოთხოვნა (შესაბამისი შინაარსის განცხადება), რომელიც ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილი უნდა იქნას მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთა M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით გადაყვანის აღდგენიდან პირველი ვადამოსული გადასახდელი ნებართვის გაცემის ფასის გადახდის თარიღამდე. ასეთი განცხადების არ არსებობა განიხილება ხელშეკრულების შეცვლილ გარემოებებისადმი მისადაგებაზე უარის თქმად და სახელშეკრულებო ურთიერთობები გაგრძელდება არსებული პირობებით.“.

**2.** განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე** **სულიკო თებიძე**

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
## პროექტის სახელწოდება და სათაური

**„ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“**
**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 აპრილის №24 განკარგულებაში**
**ცვლილების შეტანის თაობაზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ**
**ა.ა პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:** ბიზნესის მხარდაჭერა პანდემიის პირობებში;
**ა.ბ პროექტის ძირითადი არსი:**
**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**
**ბ.ა პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**
**ბ.ბ პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:** ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე იქონიებს გავლენას
**ბ.გ პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:** ახალი კორონავირუსის (COVID-19) მიერ გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოების გამო, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიების ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა გადაყვანის შეჩერების ვადით, ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების ნებართვის მფლობელები გათავისუფლდნენ ნებართვის გაცემის ფასის გადახდისაგან.
**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან**
გ.ა საქართველოს კონსტიტუცია;
გ.ბ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
**დ) პროექტის ავტორი:** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.
**ე) პროექტის ინიციატორი:** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.
**ვ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ეთერ ლომაძე

სამსახურის უფროსი